სოფელი ჯანხოშის უკუმიგრაციის მდგრადობის კარტოგრაფიული ანალიზი

ქეთევან ავსაჯანიშვილი

ელ-ფოსტა: ketevan.avsajanishvili049@ens.tsu.edu.ge
გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი. ჭავჭავაძის გამზირი 3, თბილისი, 0179, საქართველო

თანამედროვე კარტოგრაფიასა და გეოინფორმატიკაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს კონკრეტული ტერიტორიის მდგომარეობის (გლობალურ, რეგიონულ და ლოკალურ დონეებზე) გეოგრაფიული კვლევა და კარტოგრაფირება. ამ მიმართულებით საქართველოში შესრულებულია არაერთი პროექტი და გამოქვეყნებულია შესაბამისი სამეცნიერო პუბლიკაციები (ნ. ბერუჩაშვილი, 2002წ; ნ. ელიზბარაშვილი, 2005წ, 2009წ; თ. გორდეზიანი, 2014წ).

სამაგისტრო ნაშრომში განხილულია სოფელ ჯანხოშის უკუმიგრაციის მდგრადობის კარტოგრაფიული ანალიზი, რაც გულისხმობს როგორც ბუნებრივ ისე სოციალურ-ეკონომიკური გარემოს კომპლექსურ-გეოგრაფიულ შეფასებას მიგრაციული პროცესების ჭრილში.

კვლევის მიზანია განისაზღვროს უკუმიგრაციის პროცესების მდგრადობის პოტენციალი, დაინერგოს კარტოგრაფიული ანალიზის მეთოდოლოგია და შეიქმნას შესაბამისი რუკები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტებისთვის სივრცული რეალობის სწორი ინტერპრეტაცია.

ნაშრომში დეტალურად არის გაანალიზებული სოფელ ჯანხოშის ბუნებრივი პირობები: გეოგრაფიული მდებარეობა, გეოლოგიური აღნაგობა, რელიეფი, კლიმატი, ნიადაგები, ფლორა და ფაუნა, ლანდშაფტები. ასევე შესწავლილია სოციალური და ეკონომიკური ფაქტორები: დემოგრაფიული ვითარება, სოფლის მეურნეობა, მრეწველობა და ინფრასტრუქტურა.

ნაშრომის ფარგლებში ჩატარებულია ანალიზური და სინთეზური კარტოგრაფირება. შედგენილია ზედაპირის დახრილობის, ექსპოზიციების რუკები, შესრულებულია სოციალურ-ეკონომიკური რუკების გენერირება და სინთეზი. შედგენილი რუკები საშუალებას იძლევა განხილულ იქნას ტერიტორიის პოტენციალი უკუმიგრაციის თვალსაზრისით.

დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია იმ გარემოებების ერთობლიობა, რომლებიც ხელს უწყობს ან აფერხებს მოსახლეობის დაბრუნებას და პერსპექტივაში აღნიშნული მიდგომის გამოყენება შესაძლებელია სხვა მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სივრცულ-დროითი მოდელის შესამუშავებლად.